# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნებისმაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი

1877—1886 წელიწადი


**გაზეთი „ივერია“ 1 ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან. 50 კაპ.**

ტფილისი, 10 ივნისს

„ბანკიც იგივე რულეტკა იყოო, ბძანებს ბ-ნი აკაკი წერეთელი: ჩვენის მოუმზადებელ ხალხისათვისო და ამიტომაც, ვიმეორებ, იმ თავითვე წინააღმდეგი ვიყავით მისიო.“

რაკი ბანკი და რულეტკა ჩვენის ხალხისთვის ერთი და იგივეა ბ-ნ აკაკის თვალში, ქება-დიდების მეტი არა ეთქმის-რა, რომ ბ-ნი აკაკი იმ თავითვე ბანკის წინააღმდეგი ყოფილა. რულეტკა სწორედ სახლში შემოსაშვები არ არის. ხოლო ბანკი რამოდენად ჰგავს რულეტკას,—ამისი კი რა მოგახსენოთ და ვისაც ეს ორი, სულ სხვა-და-სხვა, საგანი ერთმანეთში აურევია, იმას სამართალი მიუძღვის ერთიცა და მეორეც წყალს მისცეს. პურიც რომ საწამლავად მომეჩვენოს და წყალში გადავაგდო, ამისათვის არავინ დამძრახავს, მხოლოდ იტყვიან, თვალს შეუცდენიაო.

თუმცა ბ-ნ აკაკის ბანკი და რულეტკა ერთსა და იმავე საგნად მიუღია ჩვენის „მოუმზადებელ ხალხისათვის“, თუმცა ამის გამო წინააღმდეგობაც გაუწევია, მაგრამ, რადგანაც ძალა აღმართსა ჰხნავს, ჩვენ ბანკის დაარსებას მაინც

„ძალა-უნებურად დავმორჩილდითო, ბძანებს ბ-ნი აკაკი: და მხოლოდ იმას ვცდილობდით, რომ სიფთხილე მაინც დაგვეჭირა და უსტავის რამოდენიმე მუხლი შეცვლილიყო“.

არ ვიცით მუხლთა ცვლილების გამო შეუტანიათ, თუ არა, რაიმე პროექტი ბანკის საერთო კრებაში და საერთო კრებას რა დაუდგენია? ეს კი ვიცით, ბ-ნ აკაკისავე სიტყვით, რომ:

„ერთხელვე დაგეშილი და ბეჭდვითაც წაქეზებული უგნურება მუშტისა და არა სხვა რამე ძალით იმარჯვებდა და თავისი გაჰქონდა.“

ორში ერთი: ან შეცვლილის მუხლების პროექტი საერთო კრებას ბანკისას წარსდგენია და „უგნურებას მუშტისას“ უარ-უყვია და თუ ესეა, მეტად სამწუხაროა, რომ ჭკუის საქმე მუშტს გადუწყვეტია; ან არ წარსდგენია კრებას და ვისი ბრალია, თუ არანს გულში უმღერნია და ყმებ[illegible]ი ბანი მითხარითო, უძახნია?

არც ის ვიცით ის „რამოდენიმე მუხლი“, რომელიც ბ-ნ აკაკის აზრით, უნდა „შეცვლილიყო“, რა-და-რა მუხლია. ამ რამოდენთამე მუხლთაგან ბ-ნ აკაკის მარტო ერთი მუხლი-და მოჰყავს მაგალითად:

«უსტავის ძალით ქთაისის ბანკში დამფასებლებს კრება კი არ ირჩევს, მხოლოდ ბანკის გამგეობა და ზედა-მხედველი კამიტეტიო, ბძანებს აკაკი: ჩვენ ამის წინააღმდეგი ვიყავით და შიში კიდეც გამართლდა: არჩევანის დროს სადირექტოროები სიტყვას აძლევდნენ რომელიმე გავლენიან პირსა: «ოღონდ შენ კი დამეხმარე, ამარჩიე და მენ და ან ვისაც შენ მეტყვი დამფასებლად ავირჩევო... ამითი აიხსნება ის მოვლენა, რომ ღირსეულებს აშავებდნენო.»

იქნება მაგალითი ყოფილიყოს, რომ ღირსეული გეშავებინოთ და ეს, რასაკვირველია სამწუხაროა, მაგრამ აქ ეგ მუხლი რა შუაშია? ღირსეულის გაშავება ყველგან შეიძლება მოხდეს და ვინ იცის, იქნება ყველაზედ ნაკლებ იქ მოხდეს, საცა წინადვე სჩანს, ვინ არის თვითეულად პასუხის მგებელი ცუდის არჩევისათვის. თუნდ ეგეც არ იყოს, ნუ თუ ერთმა სადირექტორომ, ანუ თუნდ სამმა გამგეობის წევრმა იმოდენად იმძლავრონ ზედა-მხედველ კამიტეტის და გამგეობის წევრთა საერთო კრებაში, რომ არჩევანი თავისაკენ დასძლიონ!.. თუ შიში ზემოხსენებულის მუხლისა მარტო მაგაშია, წამალი ადვილია. ისეთნი დირექტორნი და ზედა-მხედველ კამიტეტის წევრნი ამოირჩიეთ, რომ მაგისთანა ამბები არ იკადრონ და არ ჩაიდინონ. დირექტორთა და ზედა-მხედველ კამიტეტის წევრთა ხომ ბანკის საერთო კრება ირჩევს! მაშასადამე, თუ ბ-ნ აკაკის სიტყვა მივიღეთ განუკითხველად, იგივე საერთო კრება ვერაფერი თამასუქი ყოფილა კაი-კაცების არჩევანისათვის. თუ იგი კრება მართლა იმისთანა დირექტორებს ირჩევს, რომელნიც, ბ-ნ აკაკის სიტყვით, ისე ურიგოდ იქცევიან, მაშ რაღა იმედი აქვს ბ-ნ აკაკის, რომ იგივე კრება, ცუდის დირექტორების ამომრჩეველი, უცბად გადაკეთდება და კარგს დამფასებლებს ამოარჩევს? აქ ერთი მეორეს როგორღაც არ ებმის და ბ-ნ აკაკის სიტყვა ცოტა არ იყოს ბუნდია. რა თქმა უნდა, რომ ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ან ეხლანდელს დირექტორებს ქუთაისის ბანკისას და ან წევრთა იქაურის ზედა-მხედველის კამიტეტისას წუნი რამ, ან ბრალი რისამე დავდოთ. ჩვენ ამაზედ შორსა ვართ. ჩვენ თუ ამ მხრივ ვსთქვით რამე, საზოგადოდ ვსთქვით და მარტო იმისთვის, რომ ბ-ნ აკაკის სიტყვას კვალში ჩაუდექით და მისი დასასკვნელი აზრი ბოლომდის მივიყვანეთ.

## ახალი ამბავი

⁂ ერთს საფრანგეთის გაზეთში, სახელდობრ „Paris“-ში, 1885 წლის ოქტომბრის ერთს ნომერში დაბეჭდილია პოემა „განდეგილი“. ეს ლექსად ნაამბობი პოემა პროზად გადუღია ფრანგულად მწერალს ქალს კანდიანი-კოლონნას, რომელზედაც ორიოდე სიტყვა უკვე იყო ნათქვამი ჩვენს გაზეთში. თავის შენიშვნაში პატივ-

## ფელეტონი

### საჩინო

(დალალ-აზნაური)

ამბავი*)

დათუნას მეუღლეს თინათინს მისი ორი პატარძალი სულ უკან დაჰყვებოდნენ; გაეიდოდა, გაჰყვებოდნენ; შემოვიდოდა, შემოჰყვებოდნენ. შევნიშნე, რომ მე მიფთხებოდნენ; თუმცა ამ უკაცურს ოჯახში ჩემისთანა ჭაბუკის წვევა არ იქნებოდა, რომ არ ამებოდათ. მიხვრა-მოხვრაშიაც ეტყობოდათ, რომ მხიარულად იყვნენ.

დათუნას მეუღლემ ბოლოს მისცა მათ განკარგულება: ერთი მათგანი მიდგა თაროსთან და პურის მტკიცევა დაიწყო; მეორემ საქვაბეზე წყალი შემოდგა გოჭისა და ქათმების დასაფუთქავად. მე ცეცხლთან დიდი სავარძელი დამიდგეს, რომელშიაც დინჯად ჩავჯექი და პატარძლების მისვლა-მოსვლას თვალებს ვადევნებდი. უმცროსს პატარძალს ტანი იფნის ჯოხსავით ჰქონდა მოქნილი და გულმკერდი ქედანს მტრედს უგავდა. ის ხშირად ასწორებდა ცეცხლს კერაზე ეტყობოდა, ღველფში პურის კვერების ჩასმას ემზადებოდა. ცოტას ხანს შემდეგ უმცროსმა პატარძალმა სახელოები დაიკაპიწა, ჩითის წინ-საფარი აიკრა, ღადარი გამოჩხრიკა რკინის საკეცეთი და უფროსის პატარძლისაგან მოზელილი პურის კვერები მოიტანა ხონჩაზე დაწყობილები კერასთან; კვერები ლამაზ შოთებად გამოიყვანა და ჩასვა ღადარში, ზევიდან ცხელი ნაცარი გადააყარა და ზედ ნაკვერცხლები მოაწყო.

პატარძალს კერასთან ყოფნაში ლოყები აუპრიალდა. ნეტაი იმ ტუჩებს, რომელნიც მაგ ლოყებს დაეკარებიან-მეთქი, ვიფიქრე. დათუნას ცოლმა ქათამი და გოჭი გაპუტა. გოჭი შეწვეს, ქათამი რგვლად მოხარშეს, ამასობაში საშუალმა რძალმა მშვენიერი ხაჭა-პურები დააკეთა, დააკრა გახურებულს კეცებზე და ყველ-პური ააჭიჭინა.

— ბარემც მორჩით, ქალებო, ვახშამს. ბატონს საჩინოს პურის-ჭამა დაუგვიანდა—მიაძახა დათუნამ; თვითონ ერთი კარგი ხელადა ბუგეულის ღვინით სავსე შემოიტანა და კერასთან დადგა.

— ვახშამი მზად გახლავს, მიაძახა ცოლმა.

დათუნამ შემოიტანა გძელი ტაბაკი. პატარძალმა უფროსმა ხელი წამაბანინა, უმცროსმა ხელ-შესაწმენდი მომცა. ამით ვისარგებლე და თვალები შევაჰყიტე; იმან შეკრთომით ცხვირი იქით მიიღო. დათუნამ ჩემ წინ დადგა ტაბაკი, გვერდით მომიჯდა, ხელადა მოიდგა და გულ-უხვად წამოიძახა: აბა, ქალებო, რაცა გვაქვს, მოგვიტანეთ და თქვენც ჩამოსხედით.

ტაბაკზე ჯერ შოთები მოაწყეს, მერე ახალ-გამომცხვარი ხაჭა-პურები მოარიგეს, საინებზე აქნილი ღედალი დაალაგეს და შებრაწული გოჭიც, ასო-ასოთ აქნილი, დადგეს გობით სუფრაზე. რაც გინდოდა, სულო და გულო, ყოველივე მრავალი იყო. მაგრამ მე ესეები არაფრად გამიკვირდა; ჩემი დარდი უმცროსი პატარძალი იყო, სულ იმის ფიქრში ვიყავი და მას თვალს არ ვაშორებდი. მეც ასე მეგონა, გულის-ტოლვა შემატყო-მეთქი: რადგან ისიც ჩემსკენ აპარებდა ხოლმე თვალებს.

დათუნას ვკითხე: „შენი ძმები სად არიან, ან თუ ელი?-მეთქი.

— აი, გაუწყდათ იმათ ქოქი. ამისთანა ლამაზი პატარძლები შინ დამიგდეს, თვითონ-კი ეს ერთი წელიწადია აღარსად სჩანან. ახლა, ქვე სა-პეტრე-პავლობოდ ველოდი, მაგრამ არ მოვიდნენ, არ მოიყვანათ გამჩენმა. ესენი მეცოდებიან საწყლები,—თითით მიჩვენა პატარძლები, თვარა ქვე იმათ რა უჭირს!.. ქალაქში არიან, ქეიფს ეწევიან.

საშუალო პატარძალმა ღრმად ამოიოხრა.

ეჰ,—ვთქვი გულში—საქმე კარგად ყოფილა! და იმ ღამით განვიზრახე ამორგვა; მაგრამ მინდოდა მაინც შემემზადებინა წინ-და-წინ უმცროსი პატარძალი. ქმრის ხსენებაზე ისიც შეკრთა და თავი უფრო ძირს დაღუნა.

— აბა, დედა-კაცო—მიუბრუნდა თავის ცოლს დათუნა—ქვე ჩვენც დავლიოთ და ბატონსაც დავალევინოთ. ამაზე უკეთესი სტუმარი ქვე ვინ მოგვივა.

— ქვე, შენ მართლა გაგიჟდი, კაცო. ღვინის სმა რა ჩვენი საქმეა—უპასუხა თინათინმა.—თქვენ დალიეთ, ღმერთმა შეგარგოთ. «უკაცრავათ ჩემო, ბატონო—მითხრა თინამ, მცინარის სახითა—თქვენი საკადრისი მასპინძლობა ჩვენ ქვე სად მოგვეხერხება, გლეხნი ვართ, ღარიბნი; მაგრამ ღარიბის კაცის პურის-ჭამა გემრიელიაო—ამბობენ »

— რატომ იკადრებ, ჩემო დედა. ღმერთმა ამისთანა მასპინძლობა ჩემს სახლში ნუ მომიშალოს ნურაოდეს.

— მოილხინე, მოილხინე, შენი ჭირიმე. ქვე კარგი დღეა და კარგი სტუმარიც მეწვიე, კარგი მოგცეს ღმერთმა. ქვე შენ მაგიერად რომ ოცი კაცი მსტუმრებოდა, ასე ვერ დამაშვენებდა—მხიარულად და სიცილით მეპატიჟებოდა თინა.

დათუნამ უბძანა შუათანა რძალს ყურიანი სტაქნები მოიტანეო.

— აბა, ახლა ჩემი ჯიხვები მომეცი.

დიდი ჯიხვის ყანწებიც მოიტანეს.

დათუნას გვერდით უჯდა თავის მეუღლე თინა, მას შემდეგ შუა-რძალი და სულ ბოლოს პატარძალი.

ყველანი ფეხ-მოკეცილები ისხდენ დათვისა და თხის ტყავების ნაგლეჯებზე. მხოლოდ მე ვიყავი განიერს სავარძელზე დაბძანებული, როგორც პატივ-საცემი სტუმარი.

დათუნამ დალია და დამილია დიდი სტაქანი. ის მოჰყვა სადღეგრძელოებს. ჯერ დალია ჩემი სადღეგრძელო, მერე დიდი ბატონისა, მერე თავის ძმების, თავის ცოლისა და რძლებისა. ერთი ათიოდე სტაქანი რომ მიაყოლა ზედის-ზედ, მეც, რასაკვირველია, დამალევინა, მერე წამოავლო ჯიხვის ყანწებს ხელი: ერთი მე მომცა, მეორე—თვითონ დაიჭირა. თითოში ჩაიდოდა ნახევარი თუნგი ღვინო. ამ ყანწით ადღეგრძელა ჩემი მომავალი ბედი. მეც მადლი გადავუხადე. თინათინმა ჯლიქვი ჰკრა თავის გალომებულს მეუღლეს:—კაცო, დათვრები, სირცხვილი დაგემართება ბატონ სტუმართან—ნელა წაულაპარაკა ცოლმა. შუათანა და უმცროსი რძლები მწუხარედ ადევნებდნენ თვალებს თავის უფროსს კაცს ოჯახში. მე ამით ვისარგებლე, პატარძალს თვალი თვალში გავუყარე და დაკვარკვალიტებული პურის ნამცეცი ვესროლე. დარგვალებული პური მოხვდა მკერდზე და კალთაში ჩაუვარდა. უმცროსმა რძალმა ხელი გააპარა თავის კალთაში, აიღო ჩემგან ნასროლი პურის ნამცეცი და პირში ჩაიდვა. ვიფიქრე, საქმე აწ გაჩარხულია მეთქი—და ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ჩემი მასპინძელი კარგად ჩაითვრა. მეც ნაღვინევი ვიყავი, მაგრამ რადგან ბევრი საქმე მქონდა გულში, დავიწყე ღვინის პარვა და ზურგს უკან ვაქცევდი. ჩემი მასპინძელი დათუნა ურა კვიცივით ჭიხვინობდა, ვითამ სხვა-და-სხვა სიმღერის ხმებს ამბობდა; მაგრამ რადგან არც ბანი ჰყავდა, არც მოძახილი, მალე ჩაჩუმდებოდა ხოლმე: „ვაი, შენს ბიჭს, მარტო სიმღერა არ შემძლებია! ქვე წინ-და წინ რომ თქვენი მობძანება მცოდნებოდა, ისეთს მომღერლებს დაგიპატიჟებდი, ბატონო საჩინო, სულ ვარხალალო გვეძახნა.

— მე, ჩემო დათუნა—უსიმღეროთაც ძალიან მხიარულათა ვარ; მაგრამ აწ კი დროა, რომ სუფრა ავიღოთ.

— შენი სულის ჭირიმე, ერთი ყანწი კიდევ დავლიოთ ჩემი ოჯახისა.

*) იხ. «ივერია» 1886 წ. № 122

ცემული მწირალი ქალი ამბობს: «ეს ძველებური თქმულება გავრცელებულია საქართველოში და ლექსად მშვენივრად ნაამბობია ილია ჭავჭავაძისაგანო, ხოლო მე ზოგიერთგან შევცვალეო თარგმანში».

*** გუშინდელ ივერიაში დაბეჭდილი ამბავი, რომელშიაც სპარსეთის ქვეშევრდომ ისქანდერ-ალექპერ-ოღლის დაჭრაა მოთხრობილი, აი როგორა ყოფილა: გიგო ასიტოვს, ნიკოლოოზ ჩეხლაძეს და ისქანდერს ერთად დროება გაუტარებიათ ვერის ბაღებში. იქიდგან რომ მოდენილან და ჯვართან მისულან, რაღაცაზედ კინკლაობა მოსვლიათ, ერთს მათგანს დანა ამოუღია და მუცელში დაუცია ისქანდერისთვის. ამ სამს გარდა მოქეიფეთა რიცხვში სხვანიც ყოფილან. რომ უნახავთ, დანებზე მიდგა საქმეო, ყველანი გაქცეულან და იქ დაუტოვებიათ ერთი თავიანთი ამხანაგთაგანი და ისქანდერი. მუცელში დაჭრილს ისკანდერს თითონაც დანა ამოუღია და დამჭრელის დასაკრავად მიუმართავს, მაგრამ ის გაქცეულა და შორიდგან ქვა უსროლია. ეს ამბავი მომხდარა კვირა დღეს და დაჭრილი ისქანდერი თითქმის მთელი დღე იქავე გდებულა.

*** დურგალ აზოევის ცოლის, ნინოს, თავის დარჩობის ამბავი ყველას აოცებს. ამაღამ ჯვარს იწერს, თხოვდება და ჯვრის-წერის მეორე დღეს თავს ირჩობს. ეხლა, როგორცა სჩანს, თავის დარჩობა სიყვარულს გამოუწვევია. ნინო აზოევისას, ვიდრე გათხოვდებოდა, სხვა ჰყვარებია და მშობლებს-კი ძალ-დატანებით აზოევისათვის მიუთხოვებიათ.

*** ჩვენის მეფუნეებისა და მეპურეების საქმე სწორედ რომ გასაოცარია, არ უნდათ და არა, პურს ფასი დაუკლონ, არავითარს მიზეზებს არ იწყნარებენ, არც ფქვილის გაიაფებას და არც სხვათა. იქამდე მივიდა საქმე, რომ ქალაქის გამგეობა იძულებულ იქმნა ძალა დაეტანებინა და ისე გაეყიდინებინა პური თავისაგან შედგენილს ნიხრზე. მათ საჩივარი შეიტანეს საბჭოში, მაგრამ ამ გზითაც ვერას გახდნენ და ეხლა აი რა ღონე უპოვიათ: ყურადღებას აღარ აქცევენ პურის რიგზე ცხობას, ფქვილს სულ დაბალის ხარისხისას ჰყიდულობენ, რომ იქმნება ამითი მაინც შეივსონ ნიხრის დაწევით დანაკარგი ფული და მრუდე სასწორსა და ყალბ გირვანქიანებს ახმარებენ. მაგალითებრ, პოლიციის 7 ნაწილის მდგმურებსა და სახლის პატრონებს უჩივლიათ ტფილისის გუბერნიის ექიმთან და უთქვამთ, რომ აგერ რამდენიმე დღეა ბარბარეს ქუჩაზედ მყოფი მეფურნე ისეთს პურს აცხობს, რომ არ იჭმევაო. ფქვილს მწარეს ახმარებს, პური სულ ცომად არის, სულ გამოუმცხვარია და ქვიშა-ნარევიო. ქალაქის ექიმს ეს ამბავი ქალაქის გამგეობაში გამოუცხადებია და ამ ქამად ზემოხსენებულს მეფურნეზე საჩივარია შეტანილი.

*** ტფილისის ცხენის-რკინის გზის დირექციას, როგორც მოგეხსენებათ, ქალაქთან შეკრულ პირობაში უწერია სხვათა შორის, რომ დირექციამ უნდა იქონიოს რამდენიმე დახურული მატარებელიც. ემატარებლები აქამდე დირექციას არა ქონდა და ეხლა, როგორც გაზ. «კავაზი» სწერს, გამგეობას ძალა დეტანებია და რამდენიმე დახურულ მატარებელი დაუბარებინებია ოდესიდამ, რომელნიც უკვე მოსვლიათ და ატარებლად ამზადებენო. ამ რამდენიმე დღეში დაიწყებენ ეს მატარებლები სიარულსაო.

*** მკითხველებს უკვე მოეხსენებათ ის ამბავი, რომ წარსულ კვირეებში ცხენის-რკინის გზის მატარებელმა ერთი კაცი—მასურაძე ქვეშ მოიტანა და მეორე კი ცოცხალი დააშავა. ეხლა, როგორც ვიგეთ, ცხენის-რკინის გზის გამგეობას გარდაუწყვეტია, რომ გარდაცვალებულის მასურაძის ქვრივი ფულით დააკმაყოფილოს და საჩივრამდის საქმე არ მიიყვანოს.

ათს თუმანს ჩვილუის დასამარხავად აძლევსო და ათ თუმანსაც თვითონ ქვრივსო.

*** კრუჟოკი ახალი სადგომი გოლოვინის პროსპექტზედ შიოევისეულს (ეხლა ქალაქის) სახლებში ჩქარა მზად იქნებაო. აცხარებული მუშაობაა ეხლა ამ დგილას. აგვისტოს თთვეში აპირებს კრუჟოკი ახალ სადგომში გადასვლს.

*** იმის გამო, რომ ახალ ყორღანოვის ქუჩა, ვერაზედ, მეტად გაფუჭებულია, ფაეტონები ვერ დადიან და არც ქალაქი გამგეობა აქცევს აქამდე ყურადღბას, იქაურ სახლის პატრონებს განუზრახავთ თავის ფასით შეაკეთონ ეს ქუჩა და ქალაქის გამგეობისათვის უთხოვნიათ, რომ მან თავის ინჟინერი დანიშნოს მუშაობაზე სათვალ-ყუროდ. გამგეობა დათანხმებულა, მხოლოდ იმ პირობით, რომ სახლის პატრონებმა ამ თავითვე შეიტანონ გამგეობაში თავიანთი საკუთენი ფული, და სახლის პატრონებს ამაზედ თანხმობა გამოუცხადებიათ. ამ გვარად, იმედია, რომ გაუვლელ ქუჩის მაგივრად, კარგად შეკეთებული და ქვით მოკირწყლული ქუჩა გვექნება. (გაზ „კავკაზი".)

*** ბათუმიდამ გვწერენ: ძალიან წრეს გავიდა აქაურის „დამოქნის" მოხელეების ქცევაო. ღამე კაცს სიარული არ შეუძლიან თავისუფლად, სულ რაღაცა ეჭვით უყურებენ და სინჯავენო. სტუმრად რომ სადმე იყო და მოგიგვიანდეს, შინ წასვლას ვერ გაბედავ მათის შიშითაო. ელი, რომ აი ეს არის დამეცემიან და გამჩხრეკენო. ვაი თქვენი ბრალი ამასთან თუ გიპოვნეს რამეო. ერთ ხელსახოცში ხუთი ხელსახოცის ფასს გადაგახდევინებენო. საკვირველია, ნუ თუ ყველა ფორტო-ფრანკო ქალაქებში ამ გვარად არის და ასეთი წესებიაო. კარგი იქმნებოდა, მიექციათ ამ საგნისათვის ყურადღება და წამსვლელ-მომსვლელთათვის ცოტა სიარული გაეადვილებინათო. თორემ აღარც მანდილოსანს ერიდებიან, აღარც დიდს და, აღარც პატარას, ბრიყვად მიადგებიან ზედა და სჩხრეკავენო.

*** გაზ. «ნორ-დარის» სიტყვით, ივნისის 6-ს ბათუმში ერთს ტფილისელს ვაჭარს თავი მოუკლავს. ეს ვაჭარი სულ ოც-და-ხუთის წლის ახალ-გაზდა ყმაწვილია, გვარად დრაჩენსკიო. ვიდრე თავს მოიკლავდა, განსვენებულს ბარათი დაუტოვებია შემდეგის სიტყვებითა: „ჩემს სიკვდილში ნურავისზე ეჭვს ნუ მიიტანთ, მევე მოვიკალი ჩემის ხელით თავი უნუგეშო სიყვარულისა გამოო".

*** თიონეთის მაზრიდამ შემდეგს ამბავსა სწერენ გაზეთ «ახ. მიმ.»: 24 მაისს სოფ. კველიანიდგან თავის სახლში მიდენილა გლეხი იოსებ ლეგერაშვილი. ამ დროს ხშირის წვიმებისა გამო ხევები წყლით სავსე იყოვო. ერთს ადგილას ხევთან ლეგერაშვილმა მოიწადინა ხევზედ გადახტომა, მაგრამ ფეხი დაუსხლტა თურმე როგორღაც და წყალში ჩავარდა. წყალმა თურმე იძისის წყალში ჩაიტანა და მისი გვამი 27 მაისს იპოვნეს.

„სოფ. ფოლათის მცხოვრებელი ჩელელა წიკლაური დანიშნულა. დიდხანს სდია თურმე თავის დანიშნულს, ხან ხრიკები უგდო, ხან რა, მაგრამ ვერა გააწყორა, ქალს არა სდომებია მისი შერთვა. ამ რამდენიმე დღის წინედ მისი დანიშნული—ნინო სოფ. სიონში წასულა თავის ნათესავებთან. იქვე მისულა წიკლაურიც, უპოვნია თავისი დანიშნული სხვა ქალებთან ერთად მინდორზე, უეცრივ მივარდნია და ხანჯლით რამდენსამე ალაგას დაუჭრია. ამ ჭრილობათა გამო ქალი გარდაიცვალაო.

„24 მაისს, ერწოში მინდვრის წყაროები შეუწყვეტელის წვიმებისა გაო ადიდნენ, ნაპირებზე გადმოვიდნენ და 60 დღიური ნათესობა გაა-

---

მიდღეგრძელე ოჯახი, ქვე ღმერთი გადღეგრძელებს. ათი წელიწადია, რაც ეს ჩემი ქალი მოვიყვანე, შვილი არ გამიჩნდა.

— კაცო, ქვე რაებს ლაპარაკობ?—წყრომით უთხრა თინათინმა. მემრე შემომიბრუნდა და მითხრა: —ქვე, ჩემო ხელმწიფე, ნუ დაძრახავ! ჩემი კაცი თქვენის სტუმრობით გამხიარულდა.

— არა, ჩემო თინათინ, ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა დათუნას მოლხენა. მერე დათუნასაც შევაძახე:—დავლიოთ, ჩემო დათუნა, დავლიოთ!..

მე და იმან ერთად მოვიყუდეთ ყანწი. როგორც წურბელა ისე მიეძალა ის დალოცვილი სავსე ყანწსა და ჩაჰყვა ძირამდის; მე კი მალე მოვიხსენი პირიდან და ჩავუშვი ღვინო მეორე დოქში.

დათუნამ გამაცალა ყანწი, დაამხო ძირს და წამოიძახა: „ასემც მტერი დაგელიოს, ბატონო საჩინო"!

თინათინმა ისარგებლა ამ შემთხვევით, წამოხტა სუფრიდან, მას აჰყვენ პატარძლები და გადილეს იქით ტაბაკი ხორაგიანა.

— შენი ხვითოს ჭირიმე, შენი!— იძახდა დამთვრალი დათუნა. თინათინმა რაკი შეატყო, რომ მისი მეუღლე მასპინძლად აღარ ვარგოდა, მოატრიალა, როგორც ყმაწვილი, მიაწვინა ტახტზე კუთხეში და წაახურა საბანი. ამის შემდეგ დათუნას კრინტი აღარ გაუღია: ჯადო აჭამა თინათინმა, თუ შეულოცა—არ ვიცი, მაგრამ გაშმაგებულის მთვრალის კაცის ასე მოთვინიერება და უცებ დაძინება ძალიან გამიკვირდა.

***

მე ცეცხლის პირს გამიშალეს ჯერ თივა, ზედ ხალიჩა, მაზედ რბილი ქვეშსაგები, მერე თინათინ თავის რძლებიანა გარეთ გაილალენ ბოსლის დასათვალიერებლად და ჩემი ცხენის მოსაელელად. ამ დროით ვისარგებლე და მოვუჩქარე დაწოლას. ვილოდი, სანამდის არ ჩამეძინებოდა, მანამდის დედა-კაცები თავის ლოგინს არ გაშლიდენ.

ქალები რომ შინ შემობრუნდენ, ცეცხლი მინელებული იყო კერაზე, მე განზრახ გავინაბე და დაძინების დასამტკიცებლად ხვრინი ამოუშვი. მაგრამ, აბა, რა დამაძინებდა, თვალწინ სულ პუტკუნა პატარძლის ახვითქებული კოკრები მელანდებოდენ. ისინი რომ დარწმუნდენ, სტუმარს სძინავსო, უცბად მივარდენ ტახტს, გადმოშალეს ქვეშსაგები და დაიწყეს ტანთ-გახდა. მე საბნიდან ვიჭვრიტებოდი, მინდოდა შემენიშნა, პატარძალი საით წვებოდა; მაგრამ სამწუხაროდ ვერა გავარჩიე-რა. დარბაზში სიბნელე ჩამოწვა. კერაზე ჩამქრალი ალი დრო გამოშვებით ისევ ამოიკიაფებდა და მტკნარად გაანათებდა ხოლმე იქაურობას, თითქოს მომაკვდავს კაცსავით სულს ლაფავსო.

დათუნას დიდი ხანია ჩასძინებოდა და დაკლულ ღორივით ხროტინობდა კუთხეში. «აწ ლოდიც რომ დასცე-მეთქი თავზე, იმის გაღვიძების ფიქრი არ არის». გული მხიარულად მიცემდა, თითქოს ბედი მწყალობდა. ცხადად ვატყობდი, კამათელი ჩემსკენ იყო.

მე სულ განაბულმა ვაცალე პატარძლების ჩაძინებას, მინდოდა იმ წუთას, რომ ყოველს სულიერსა და უსულოს სძინებოდა; მინდოდა, რომ ჩემი გულის-თქმის მოწამე მხოლოდ ბნელი ღამე და ის ჩემი გულის დამწველი პატარძალი ყოფილიყო. ძლივს, რათიც იქნა, ერთი საათი კიდევ ვითმინე პატარძლებ რომ დაწვენ მას შემდეგ. ვაი, ამ საათს! ის ერთი საათი მთელ საუკუნედ მომეჩვენა და ამ საუკუნეში ჩემი ტანჯული სული ჯოჯოხეთის ცეცხლსა და კუპრში ქოჩრით ჩაკიდებული. გულმა აღარ მაცალა მოთმინება, სული ყელში მიღიტინებდა. ტანი ისეთ ნაირად ამებუძგა, თითქოს ვგრძნობდი, ტიკსავით მებერებოდა.

ეჰ, რაც იყოს და იყოს-მეთქი— გინდა ამ მოუთმენლობას გაუპია ჩემი გული და გინდა მასპინძლის ხანჯალს, ვინიცობაა, თუ გამოიღვიძეს.

მელა რომ სოროდან გამოძვრება, მიიხედ მოიხედავს და, ქათმის ხორცის გემო რომ წარმოუდგება, პირს ააწლაკუნებს, სწორედ მეც ისე მომივიდა. გამოვსძვერი ჩემი ქვეშ-საგებიდან, გავიპარე ფეხ აკრეფით იქითკენ, სადაც პატარძლები მეგულებოდენ. დიდხანს ვიფოთარე, ბოლოს მოვავლე ხელი ტახტს, მაგრამ ვაი, იმ მოვლებას! იმ ჩემი ცოდვით სავსე ქალებს სამ-ფეხა სკამი მიედგათ თავის ლოგინთან; წამოვკარი ფეხი და წვივი მივიმტვრიე. ტკივილს ვინ-ლა დაეძებდა, გახდა ხმაურობა და პატარძლები ლოგინზე შეინძრენ, მაშინვე ციე მიწაზე დავვარდი და გავინაბე, ცივმა გამხმარმა მიწის იატაკმა თითქოს საყინულეში ჩამსვა; მაგრამ იმ წუთას ვინ რას გაცხადებდა. ბოლოს აქედანაც ავდექი, როცა ყოველივე მიყუჩდა და შევიპარე ტახტზე, მაგრამ ახლა გარჩევა არ უნდა, რომელი სად წევს?... ვიცოდი ჩემს გულის წამლებს ყანაოზის კაბა ეცვა, მეორეს ჩითისა. დავუწყე კაბებს ძებნა. მოვავლე ერთ კაბას ხელი, დავჭმუჭნე თითებში, არ შრიალობდა. ვთქვი, პატარძალი უფრო იქით წოლილა. თურმე მე რომ კაბას ხელი მოავალე, ის შუათანა რძლისა ყოფილიყო. აქედან გავიპარე ქვეითკენ; იქაც მეორე კაბა შემხვდა, ის შრიალობდა ხელში, როგორც ატლასი: ეს არის, ეს!... რათიც იყო მივაგნე, და სული მოვითქვი. სიბნელე იყო ისეთი, რომ კაცი თვალში თითს ვერ მიიტანდა. ცოტად დავუახლოვდი, შევყევი ხელის ფოთარს და გული ამიტოკდა, საბანი თავით ფეხამდის გადახდილი ჰქონდა და მკერდი გადალიაღებული. თუმცა წყვდიადი ბნელი იყო, მაგრამ ჩემს თვალებს მაინც ეს მადლიანი ქალი ანგელოზის შუქით განსხვავებული წარმოუდგა. ისე ტკბილად სუნთქავდა, რომ უნებურად შევჩერდი, დამენანა მისი გაღვიძება. გავყუჩდი, მინდოდა მისი ანგელოზებრივი ფშვინვით დავმტკბარიყავი, იმისთანა რაღაც ედემის სუნნელობამ მოჰბერა ჩემს გარშემო, რომ რაღაცა სიტკბოების წინ-და-წინმა გრძნობამ ამაქრქოლა, გრძნობამ დამძლია და მისს ქედანა გულ-მკერდს ხელი მიუსვ-მოუსვი. „უიო!" ცივის ხმით დაიკივლა იმ ჩემის ცოდვით სავსემ და თავ-ზარი დამცა. როგორც გველის ნაკბენი, ისე გადმოვხტი ლოგინიდგან, წავემტვერი სკამს ხელმეორედ და მისმა აპლაკულმა ფეხებმა გვერდები შემილეწა. ტკივილს ვინ გაამხელს. გახდა ხმაურობა, ყველანი წამოცვივნდენ, მასპინძელსაც გამოეღვიძა და შეჰქმნა კიჟინი:

— ჰეი, რა ამბავია? ვინ დაიკივლა?... გულქან, შენ იყავი?... რა დაგემართა?...

„ეჰ, დავიღუპე!"—ვთქვი გულში და ელვაზე უმალ ჩავვარდი ჩემს საწოლში. სული გავინაბე.

პატარძალმა ჯერ ხმა არ გასცა დათუნას; მაგრამ რა-კი ამან ძილსა და ღვინოს თავი წაართვა, აღარა ეშველა რა, ჩაჰყვა კილში და წამის წამს ჩაჰკითხავდა გულქანს:

— გულქან, რა მოგივიდა, შვილო? ქვე, სტუმარმა ხომ არ შეგაშინა?...

— შემაშინა, აბა, არ შემაშინა?... წამოიკრინა იმ დალუპულმა.

გაბრაზდა დათუნა.

— ჰაი, ეგ სტუმრის ფიცის გამტეხი, ოჯახის ნამუსის ამხდელი, ეგ პირ-შავი, ეგა?... მე უჩვენებ მაგას, როგორც უნდა შეშინება!... წამოდგა და საჩქაროდ დაიწყო ტანთ ცმა.

***

მეც დროს არ ვკარგავდი, თვალის დახამხამების უმალ ჩავიცვი, იარაღი მოვიმარჯვე და გავეშურე კარებისაკენ; მაგრამ იმ პირ-შავმა ერთი მუგუზალი კიდევ მომასწრო კარებში. მე გავექანე ბოსლისაკენ, შევგლიჯე კარები, ცხენი მინდოდა მეშოვნა, ვიფიქრე, გარეთ რომ გამოვიდეს და დაიწყოს ყვირილი, სოფელს შესძრავს და ცუდად იქნება ჩემი საქმე მეთქი. ჩემი ცხენისათვის მოსართავები შეეშვათ, იარაღი კი ზედვე ედგა. უცბად გამოვიყვანე გარეთ, მოვახტი ზედ, ვკარი ქუსლი და სანამდის დათუნა ერთს დაიყვირებდა, მე დაღმართი ჩავარბენინე. აღარც ხუთი თუმანი და მუგუზალიც ზურგზე შენს საჩინოს.

სამშვიდობოს რომ გამოვედი, მერე დავფიქრდი და ჯავრისაგან ცეცხლი გულში მომეკიდა, გლეხმა ასე როგორ გამაუპატიურა მეთქი. დათუნას შურის-ძიებით გული ამიტივტივდა და მაშინვე ბუგეულის უჩასკის ნაჩალიკთან გავსწიე....

გ. წერეთელი

(შემდეგი იქნება)

ფუჭეს, რომელიც სოფ. სვიმონიანთხევის მცხოვრებლებს ეკუთვნოდათო. ზარალი 1,000 მანათს აღემატებაო.

‹სოფ. ფოლათ-სოფელში ხალხში სახადია გავრცელებულიო.

*** თიონეთის მაზრიდამვე იწერებიან: წლეულს ძალიან კარგი მოსავალი მოგველისო. ზოგს ალაგას თიბვას უკვე მიჰყვეს ხელიო. იძისის წყალი ადიდებულა ხშირის წვიმების გამო, კიდეებზე გადმოვარდნილა და ერწოში შემდეგ სოფელთა ნათესობა გაუფუჭებია: სვიმონიანთ-ხევისა, თოლიჯისა, ნადირაანთ-ხევისა, მელის-ხევისა და ცალუღელაანთ ხევისა, რაის გამოც ამ სოფლების მცხოვრებელ გლეხებს დიდი ზარალი მოუვიდათო.

*** გაზ. ‹კავკაზი›-ს სიტყვით, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიაში წარმომადგენელის განკარგულებით ცნობილი მეცნიერი კალანტარი ამ ჟამად მოგზაურობს კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილებში პირუტყვთა წარმოების და მის გაშენების მდგომარეობის გამოსაკვლევად. კალანტარმა უნდა დაიაროს ერევნის გუბერნია, ახალ-ბაიაზეთის მაზრა, ალექსანდროპოლი, ყარსი, შემდეგ თრიალეთის გორები, ახალ-ქალაქის მაზრა და დასასრულს კალანტარი გამოიკვლევს ტფილისის მაზრაში პირუტყვთა გაშენების მდგომარეობასაო. კალანტარს თან წაჰყოლია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრი ბ-ნი შადინოვი, რომელიც გამოკვლევის შემდეგ სრულს ანგარიშს წარადგენს საზოგადოებაში ამის შესახებ.

*** ჩვენ უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ სურამის უღელ-ტეხილზე რკინის გზის გაყვანა უკვე გარდაწყვეტილიაო. ეხლა გაზ. „Моск. Вѣд.“-ის კორრესპონდენტის სიტყვით, 3 ივნისიდამ სახელმწიფო რჩევაში იქმნება გარჩეული მხოლოდ ფულის საქმე ხსენებულის გზის გასაკეთებლადაო. გზათა სამინისტროს დაუდგენია, ფულის საქმის გარდაწყვეტისათანავე გამოჰგზავნოს კავკასიაში ინჟინერები, რომელნიც ამ საქმის დაწყებისათვის საჭირო განკარგულებას მოახდენდენ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქუთაისიდან სოფელ ჯიხაიშამდის.

კაი უგზოობას, მაგრამ უი იმისთანა გზასაც, რომლის გაკეთებისათვის ოდესმე ხელი მოუყვიათ, მაგრამ ნამდვილ გაკეთებას კი, ვგონებ, ჩვენი შვილებიც ვერ მოესწრებიან. წელიწად ნახევარი თუ ორი წელიწადია, რაც ქუთაისსა და დაბა ხონს შუა გზის კეთებას შესდგომიან: ქვა-ტეხილი ზვინებივით შეუყრიათ, ძველი ხიდები მოუშლიათ და მათ მაგიერ ქვის ბალავერები ამოუყვანიათ, მაგრამ... გაუგებელ მიზეზებისა გამო, თუ სრულიად უმიზეზოთ გზის მუშაობა ამაზედ გაჩერებულა და დღესაც უყურს არავინ იბერტყავს. გადის დრო,—შეგხვდებათ ამ გზაზე გავლა:—იმისთანა თქვენსა და ჩემს მტერს, რა სავრთხეც ამ გზაზედ კაცს მოელის. პირ-და-პირის გზით რომ ვერსად მიაწევ, უნდა შორს მოუარო, მაგრამ ამასაც ვინ იჩივლებს, რომ ამ გზით მაინც სახლში მშვიდობით მისვლა შესაძლო იყოს. აქ აქანებულ, იქ დაქანებულ და მიფერდილ-მოფერდილ გზაზედ აუცილებლად ან ფაიტონი უნდა გადმობრუნდეს და ან თვითონ მგზავრი უნდა გადმოსკუპდეს ფაიტონიდამ (ურმებისა და ხარების თავ-განწირულებას ხომ საზღვარიც არა აქვს), ასე რომ თუ ეღირსე იმ ნეტარ დროს, რომ შინ დაუზიანებლად და უხიფათოდ მიაწიე და მგზავრობის დროს შიში და გულის მგერა ცივებ-ცხელებად არ გადაგექცა, დიდი სამადლობელი მსხვერპლი უნდა შესწირო უფალსა. თითქმის ყოველი მგზავრი აღშფოთებულია ამ გარემოებით: „იმე, რას ჭკვას ბატონო, მესროლა სიტყვა ჩემთან ერთად მოგზაურმა აზნაურმა, რომ ასეთ უკუღმართ გზაზედ როგორ ატარებს კაცმა კაცი,—გაუშვიაყელებია ამ მამა-ცხონებულს და ვგონებ მეორედ მოსვლამდინაც არ უპირებს მოთავებასო და სხვ. ჩვენც ბევრჯელ გვკითხავს თავისთვის,—რა მიზეზია, რომ ამ გზას გაკეთება არ ეღირსა?

მართალია, დარღვევა კი უფრო ადვილია, ვინემ აშენება, მაგრამ, ჩემის აზრით, ათასჯერ უკეთესი იქნებოდა ისევ უწინდელს გზაზედ გვევლო, თუმცა ახალის გზის და მის ხიდების გაკეთება ასე თავ-გადასატანი იქნება.

დროა, ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას და ქუთაისსა და ხონს შუა მგზავრობა ნუ გახდება ისე საშიშარი და სახიფათო, როგორც მე გამოვიარე, არა ხონამდის, არამედ უფრო მოკლე მანძილს—სოფელ ჯიხაიშამდის“.

ჯან.

9 ივნისს.

**დაბა სურამი,** 9 ივნისს. ამ დღეებში ზემო-ჭალის სასოფლო სკოლის შეგირდების ეგზამენებზე დავესწარ. ამ სკოლაში ას-ოცამდის შეგირდი სწავლობს და ამ რიცხვში ორმოცი ქალია; სკოლაში ოთხი განყოფილებაა. მასწავლებელი ოთხია, ამათში ერთი ქალია, რომელიც ხელთ-საქმეს ასწავლის პატარა მოსწავლე ქალებს. წელს შვიდმა შეგირდმა შეასრულა სწავლა. ამ შეგირდებს ზედმიწევნით აქვთ გავლილი ორ-კლასიან ნორმალურის სკოლის პროგრამმა; განსაკუთრებით კარგი ცოდნა გამოიჩინეს მათემატიკაში და გეოგრაფიაში, რომლის სწავლა რუსულ ენაზეა. სამშობლო ენიდგან ლექსების და ზღაპრების მოყოლებათა გარდა შეუსწავლიათ შესანიშნავ მწერლების ცხოვრების აღწერა, მაგალითებრ, შოთა რუსთაველისა, დავით გურამიშვილისა და კიდევ სხვებისა. იციან შინაარსი ვეფხვის ტყაოსანისა, კაცია-ადამიანისა და სხვებისა.

ისტორიიდგან კი დავით III-დგან მთლად თამარის პერიოდი გაუვლიათ. სკოლა, როგორც სჩანს მკვიდრ საფუძველზეა დადგენილი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ როგორც აქამდის, ისე შემდეგისათვისაც მასწავლებლების შეწყობით მიეცემა დროთა შესაბამი წინმსვლელობა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ ის მედგრული და მკაცრი წერილი, რომელიც გაზეთ „Московскія Вѣдомости“-ში იყო დაბეჭდილი, როდესაც ვლადიმერის ოლქის სასამართლოში აშფოთებულ მუშების საქმე განირჩია. ‹Гражданинъ›-ის რედაქტორი, ბ-ნი მეშჩერსკიც, რასაკვირველია, უკან არ ჩამორჩა და ბანი მისცა ბ-ნ კატკოვსა. აი ბრწყინვალე რედაქტორი რას ბრძანებს:

> თვით სასტიკმა კრიტიკოსებმაც კი ღირსეულად და სამართლიანად დააფასეს ის ძლიერად და დიდის ხერხით მოქნეული ლახტი, რომელიც ბ-ნმა კატკოვმა გადაჰკრა ჩვენს სასამართლოსაო, თუმცა კატკოვს ამასთან უსაყვედურებდნენ, რომ წერილის ბოლოში ტყუილად ჩაურთოო გადაკვრით ნათქვამი სიტყვა, რომ ნაფიც მსაჯულთა შორის, რომელთაც სინიდისს ქვეშ უნდა გადასჭრან საქმე, ერთი ფინანსთა სამინისტროს მოხელეც ერივაო.

ბ-ნი მეშჩერსკი, რასაკვირველია, არ ეთანხმება „სასტიკ კრიტიკოსების“ შენიშვნას. ბ-ნმა მეშჩერსკიმ შორს მჭვრეტელობაში თვით კატკოვს გადააჭარბა და აი ის გარემოება, რომელიც კატკოვს მხოლოდ გადაკვრითა აქვს ნათქვამი, ბ-ნ მეშჩერსკის საფუძველს აძლევს შემდეგის ღრმა მოსაზრებით განმარტოს:

> თუ კარგად დავუფიქრდებით იმ ამბავს, რომელიც კატკოვს გაკვრითა აქვს მოხსენებული, დავრწმუნდებით, რომ ეს ამბავი სახუმარო საქმე არ არის. ის გზა, რომელსაც ჩვენი საფინანსო გამგეობა ადგია და რომელიც მთავრობას დამამშვიდებელს მიმართულებას და რუსეთის საჭიროებას განგებ წინ ეხიდება, აგრეთვე ის გზა, რომელსაც ჩვენი სამართალი მისდევს და რომელიც რუსეთის სახელმწიფოს და საზოგადოების ცხოვრებას სრულიად არ შეეფერება,—ადვილად მიგვიყვანს იქამდინ, რომ უფრო მეტს არა-სახუმარო საქმეს უნდა მოველოდეთ, ვიდრე ვლადიმერში აღმოჩენილი „მუშების საქმე“, რომელეც ასე მშვენივრად დაიწყო, რომ თვით ლუიზა მიშელის ქადაგებაც ღმერთმა შეარცხვინოსო.

თუ მკითხველმა იცის, რომ ლუიზა მიშელი—ერთი წრეს გადასული მქადაგებელია ანარქიისა, საზოგადოების წყობილობის დარღვევისა მაშინ მიჰხვდება, სადა ჰსცემს ბ-ნი მეშჩერსკი. არა, კატკოვიც არ იტყოდა ამასა!

## რუსეთი

† ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ოსტროვსკი.

3 ივნისს დეპეშამ სამწუხარო ამბავი მოგვიტანა. გარდაცვლილა რუსეთის გამოჩენილი დრამატურგი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ოსტროვსკი. ოსტროვსკი დაიბადა 1823 წელს და 63 წლისა გარდაიცვალა. ამ მოხუცის კალამ ქვეშ ყველა უბრალო შემთხვევას და ყველა ხალხის ბრბოდგან ამოღებულს სახეს სიცოცხლე ეტყობოდა და ცხოველდებოდა. ოსტროვსკი რუსეთის სახალხო მწერალი იყო, სულ ხალხში ტრიალებდა, ხალხის ცხოვრებას და ავსა და კარგს თვალს ადევნებდა და მათში მისი გულიც მონაწილეობას იღებდა. თუმცა რამდენიმე ისტორიული დრამაც დასწერა, მაგრამ მათ ისეთი სიცხოვლე და სინამდვილე ვერ ეტყობოდათ, როგორიც კი მის ხალხის ცხოვრებიდამ აღებულს კომედიებსა და დრამებს ატყვიათ. თვითონვე მიხვდა ამას და ბოლოს ისტორიულ დრამების წერას თავი დაანება. ოსტროვსკი რუსეთის სცენის მამად ითვლება და სამართლიანადაც, თითქმის ყველა რუსეთის დრამატიული მწერლები და არტისტები მის კომედიებსა და დრამებზე არიან აღზრდილნი. რუსეთის ხალხი მას დიდს პატივსა სცემდა, რადგანაც ის მათის ჭირისა და ლხინის გამომსახველი იყო, მათი გულის ნაღველი ესმოდა.

ორმოცი წელიწადი იღვაწა ამ მოხუცმა რუსეთის სცენისათვის და ამ ორმოც წელიწადში რუსეთს დიდი სარგებლობა მოუტანა, რუსეთის სცენას საძირკველი ჩაუდგა თავის ნაწერებით. ორჯელ გაუმართა რუსეთის მწერლობამ იუბილეი, ერთხელ 1872 წ. 25 წლისა და მეორეც კიდევ ათის წლის შემდეგ. ოსტროვსკი „რუსულ დრამატიულ მწერალთა საზოგადოების“ დამფუძნებელთაგანი იყო და უკანასკნელს დროს ამ საზოგადოების თავმჯდომარედ ირიცხებოდა. ამ ორის წლის წინედ მათთა უდიდებულესობათა მიაქციეს მის ღვაწლსა და შრომას სამშობლოსთვის ყურადღება და 3,000 მანათი პენსია დაუნიშნეს წელიწადში სიკვდილამდე. მისმა „Не отъ міра сего“ შარშან გრიბოედოვის პრემია დაიმსახურა, რომელსაც თუ არ საუკეთესო პიესის დამწერს, არ აძლევს რუსული დრამატიული საზოგადოება.

პირველად ოსტროვსკიმ 1846 წელს დაიწყო წერა და მას შემდეგ, ორმოცის წლის განმავალობაში, ორმოც-და-ათამდე პიესა აქვს დაწერილი. ბევრი მისი პიესები რუსეთის სცენის რეპერტუარს დღესაც შერჩენიან და ხალხიც დიდის სიამოვნებით დაიარება მის კომედიებზე. წარსულს წელს როგორც თეატრის მოყვარული და საქმის მცოდნე, ღირსეული მწერალი მოსკოვის რუსულ თეატრის რეპერტუარის მწარმოებლად დანიშნეს. ამ ახალს საქმეს სულის სიცხოვლით, სიყვარულითა და ცოდნით შეუდგა განსვენებული, მაგრამ მოსკოვის თეატრს არ ეღირსა ამ დიდის ხელოვანის და სცენის მცოდნის ხელ-ქვეით ეშრომნა, სიკვდილმა ამ საქმეში მოასწრო და გამოაცალა მთელ რუსეთის სცენას უმაგრესი დედა-ბოძი.

1883 წელს განსვენებული ტფილისში იყო. ქართულმა დასმა წარმოდგენაზე მოიწვია და დიდის სიამოვნებითაც მიიღო ქართულმა საზოგადოებამ სახელგანთქმული მწერალი.

მხოლოდ სამი პიესაა ოსტროვსკისა ქართულად გადმოთარგმნილი: „შემოსავლიანი ადგილი“, „შრომით ნაშოვნი პური“ და „ბალზამინოვის ქორწილი“.

## უცხოეთი

**ბოლგარია.** ბოლგარიაში არჩევნები გათავდა. ხალხმა თავის წარმომადგენლები პარლამენტში დასასწრებად აღმოირჩივა და ბოლგარ-რუმელების შეერთებული ეროვნული კრება გაიმართა. ამ კრების წინ ბოლგარიის მთავარმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „გულითადის სიხარულით ვაცხადებ დღეს, რომ ბოლგარიის შეერთება, რომელსაც ასე დიდს ხანს ველოდით და რომელიც ყველას ასე გულ-წრფელად გვსურდა, აღსრულდა. ამის უტყუარი ნიშანი ეს ეროვნული კრებაა, რომელიც დღეიდამ შეუდგება იმ საქმეების განსჯას, რომელიც ჩვენს საერთო სამშობლოს შეეხებაო.“

ინგლისის გაზეთები ძალიან გაუხარებია ამ ამბავს. ეს არჩევნები ცხადად გვიმტკიცებსო, ბოლგარიის მთავარს რა დიდი გავლენა და სიყვარული აქვს მოპოებული ხალხშიო; ეს არჩევნები უტყუარი ნიშანია იმისიო, რომ იმ არეულობას, რომელიც შარშან ბოლგარიის მთავარმა მოახდინა რუმელიაში, თვით ბოლგარიის ერიც სრულიად თანა-უგრძნობდა და ბოლგარიის მთავარი მხოლოდ ერის სურვილს ასრულებდაო.

**იტალია.** იტალიაში მეთექვსმეტე საკულ-მდებლობითი კრება გაიმართა პარლამენტისა. პარლამენტის კრებაზე თვითონ კოროლი ჰუმბერტი დაესწრო და ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. კოროლმა თავის სიტყვაში სხვათა შორის მოიხსენა ის კანონ-პროექტები, რომელიც სასურველია, რომ პარლამენტმა განიხილოს. ამ კანონ-პროექტთა შორის ორი უფრო მეტად ყურადღების ღირსია: ერთი შეეხება სამრეწველო და სახელოსნო ცოდნის წარმატებასა და მეორე მუშა ხალხის ყოფა-ცხოვრების განკარგებას.

ვნახოთ აღრულებაში იქნება ეხლა მოყვანილი ეს უკანასკნელი კანონ-პროექტი, თუ ისევ ისე პროექტად დარჩება, როგორც აქამდინ იყო. ამ სამის წლის წინადაც კოროლმა პარლამენტს გამოუცხადა, რომ ჩემი უმთავრესი მზრუნველობა მუშა ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე იქნება მიქცეულიო, მაგრამ აი სამმა წელიწადმაც გაიარა და მუშა ხალხისთვის კი ჯერაც არა გაუკეთებიათ რა.

**ინგლისი.** ინგლისის პარლამენტის სხვა-და-სხვა დასები დიდს მზადებაში არიან. ყველა აპირობს, გლადსტონის მიბაძვით, მანიფესტით მიჰმართოს თავის ამომრჩევლებს და უჩვენოს ხალხს, როგორ უნდა უყურონ ირლანდიის საქმესა. პარნელისტებსაც განზრახვა აქვთ, ირლანდიის ერს მიჰმართონ მანიფესტით. კონსერვატორების მეთაური, სალისბიური და ზომიერი ლიბერალი გარტინგტონიც ამასვე ფიქრობენ. გლადსტონს განუზრახავს არჩევანების საქმე თვითონვე აწარმოვოს და ამასთან აპირობს თურმე რამდენისამე ვრცელის სიტყვის წარმოთქმასა.

ამ სახით ინგლისში გაცხარებული ბრძოლაა დასებთა შორის; რომელი გაიმარჯვებს, შემდეგი გვაჩვენებს.—ამავე დროს ირლანდიაში, სახელდობრ, ოლსტერში კათოლიკებსა და პროტესტანტებს შუა დიდი განხეთქილებაა ჩამოვარდნილა. შიშობენ, რომ სისხლის ღვრა არ მოხდეს. 1 ივნისს პროტესტანტებმა რამდენსამე კათოლიკების სახლს ცეცხლი წაუკიდეს. ამის გამო პროტესტანტებსა და კათოლიკებს შუა ჩხუბი მოხდა; საქმეში ჯარი ჩაერივა, ორსავეს მხრივ ბევრი მძიმედ დაჭრილი და მოკლული აღმოჩნდა. ამ შფოთსა და განხეთქილებას სალისბიურის და ჩემბერლენის მომხრე გაზეთებს აბრალებენ. ეს გაზეთები ათას-გვარ ცილსა სწამებენ გლადსტონის კანონ-პროექტს ირლანდიის შესახებ და თითქმის განგებ აქეზებენ პროტესტანტებს კათოლიკების წინააღმდეგ. საბრალო კათოლიკები—ირლანდიელები ისე არიან შეშინებულნი, რომ შინიდამ გარედ გამოსვლას ვეღარ ბედავენ. ინგლისის მთავრობას დიდად აფიქრებს ეს ამბავი და შიშობს, რომ „ბართლომეს ღამე“ არ განმეორდეს ირლანდიაშიო.

## წერილი რედაქტორის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

„ივერიის“, მე 121 №-ში ბ. ტატიშვილი თქვენდამი მოწერილ წერილში მიჩივის, ვითომც მე მისი ამო-

ჭრილი ასოები ჩამერთოს მის დაუკითხავად აფიშებში. მე არ ვიცი რომელ ასოებზედ სჩივის ბ. ტატიშვილი, რადგანაც ჩემთვის არა უთქვამსრა და თუ თავისაგან გამოგონილ და ამოჭრილ ასოებზედ ბრძანებს, ისინი მაგისგანვე მიყიდნია და თუ სხვისაგან ამოჭრილზე სჩივის, ისინი სრულიადაც არ მიემგზავსება მაგით გამოგონილ ასოებს და ძალიანაც განსხვავდებიან ბ. ტატიშვილის ამოჭრილ ასოებისაგან. მე მიკვირს სწორედ რა ნაირად ჩემულობს ბ. ტატიშვილი, რომ ჩემი ამოჭრილიაო? ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის: ვაჩვენოთ, ბატონო, ის აფიშის ასოები ორს, ან სამს კაცს და თუ ისინი იტყვიან, რომ ეს ასოები ერთ-ნაირია ბ. ტატიშვილის ამოჭრილ ასოებთან, მაშინ ჩვენ ვიქმნებით ნამდვილად დამნაშავეც და პასუხის-მგებელიც ბ. ტატიშვილის წინაშე. ამ ნაირად ადვილად და მალეც გადასწყდება საქმე; თორემ მუქარით, რომ ან უნდა ვიჩივლო, ან სულ თავი დაანებო ჩემს ხელობასაო, ვგონებ, ვერავის შეაშინებს ბ. ტატიშვილი.

გრ. ჩარკვიანი

## გასართობი

**არაბული სიბრძნე.** გაზეთ „Woltaire“-ში დაბეჭდილია ერთი მეტად თავისებური იგავ-არაკი: „ერთს ოთახში ოთხი კაცი მოგროვდა. პირველმა არა იცის-რა, მაგრამ თავის თავი ბრძენი ჰგონია, თავის არ-ცოდნას არა ჰგრძნობს; მოერიდე, ეგ შეშლილია. მეორემაც არა იცის-რა, ხოლო თავის სიბრიყვესა ჰგრძნობს და არა ყოყოჩობს: ეს უვიცია და ეცადე დარიგება მისცე. მესამემ ბევრი იცის, მაგრამ არ იცის, როგორ მოიხმაროს თავისი ცოდნა, თავის თავს თავის ცოდნის ანგარიშს ვერ აძლევს; იგი სძინავს და შენი მოვალეობაა გააღვიძო. მეოთხემ რაც იცის, კარგად და ცნობიერად იცის; ეს ბრძენია, მას გაუგონებდე ხოლმე“.

**კბილის ექიმი ისპანიის კოროლისა.** მადრიდის ოფიციოზურს გაზეთში დაბეჭდილია, რომ კოროლ ალფონს მე-VIII-ეს კბილის ექიმად დონ-რაფაელ ალკალდე ინიშნებაო. კოროლის ექიმი ვალდებულია, კვირაში ორჯელ გაუსინჯოს კოროლს კბილები და თუ საჭირო იქნება, გაუწმინდოს და ჩაუსხას. ამისათვის ექიმს ჯამაგირი 1750 მანათი ეძლევა. რადგანაც ამ ჟამად ისპანიის კოროლი სულ ხუთის კვირისაა, პატივცემულ ალკალდს არც მისის კბილების წმენდა მოუნდება და არც ჩასხმა.

**ამერიკელების განცხადება.** ერთს ამერიკულს გაზეთში შემდეგი საკვირველი განცხადებაა დაბეჭდილი: „საჭიროა რედაქტორი ერთი მეტად გავრცელებულის გაზეთისათვის. ვისაც სურვილი აქვს, მოვიდეს, იკისროს ეს თანამდებობა და კარგი ჯილდოც მიეცემა, მხოლოდ თუ შემდეგს პირობებს შეასრულებს. მსურველმა კარგად უნდა იცოდეს გაზეთის რედაქტორობა, ლანძღვა-გინება, ხმალში გასვლა, ფულის ალება და მასთან ამტკიცებდეს, რომ მას ფული არაფრად მიაჩნია; სავსე ტომარა წამოკიდებული ბანზე ასვლა უნდა შეიძლოს და ამასთანავე ბალებსა, კონცერტებში და საღამოებზე თავაზიან მოცეკვავედ უნდა ითვლებოდეს; უეჭველად ყველა საზოგადოებათა წევრად უნდა იყოს. ისე უნდა წაიყვანოს გაზეთის საქმე, რომ არც ერთი ეგზემპლიარი არ იკარგებოდეს ფოსტაში, რომ ამ გაზეთის მოწინააღმდეგე გაზეთები დაამარცხოს და ხელის-მომწერლები-კი ამ თავითვე იხდიდნენ ფულსა. ჩვენ ისეთი კაცი გვინდა, რომელსაც ერთსა-და-იმავე დროს „ჰოს“ თქმაც შეეძლოს და „არა“-სიც; რომელსაც ორივე მხრებზე წყლის ზიდვა შეეძლოს; რომელმაც ძაღლებთან ყეფა შეიძლოს, კურდღლებთან სირბილი; რომელსაც ესმოდეს, ბალახი როგორ იყრის ტანსა და რწყილი როგორ ახველებს.

## დეპეშა

9 ივნისს

პეტერბურგი. დიდი მთავარი ვლადიმირი ალექსანდრეს-ძე მეუღლითურთ წაბრძანდა ფინისა და ბალტიის ნავთ-სადგურებისკენ ცეცხლის გემ-ფრეგატით «ოლაფ».

10 ივნისს

პეტერბურგი. ოფიციალურად დამტკიცდა, რომ თავადი ურუსოვი ბუქარესტიდამ ბრიუსელში გადუყვანიათ და სადიპლომატო აგენტი კაირში ხიტროვო რუმინიაში დესპანად დანიშნულა.

ლონდონი. მთავრობამ აუწყა საზოგადოებათა პალატას, რომ პოლიტიკის ლოკარტის დაჭერა ბადახშანში ტყუილი გამოდგა. ლოკარტი მისულა ქვემო-ბადახშანს.

პარლამენტს შაბათს დაითხოვენ.

მიუნხენი. ზენა-პალატას ბავარიის ხეიმისას საიდუმლო კამისიის მომხსენებელმა აცნობა, რომ კამისიაში წარმოდგენილ საბუთებიდამ სჩანსო, რომ სნეულება კოროლისა თან-და-თან გაძლიერდაო. ჯერ იმით დაიწყოო, რომ სულ მარტოობას რჩეობდა, მერე შიშის აშლილი ჭკვათა სიბნელე მოუვიდა და ბოლოს აიყოლია სხვა-და-სხვა პროექტების შედგენის ფანტასტებურმა სურვილმაო.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუპვ (1886) წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები – 3.

ივნისი 30 დღით არის.

**11 დღე ოთხშაბათი.** წმ. მოციქ. ბართოლომესი და ბარნაბისა. სომ. ნახატონაქი. მუს. ინია, ლოცვის ღამე (შიიტებისა). ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—53. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—38. მთვარე ამოდის 11—54, ჩადის 10—27.

**12 დღე ხუთშაბათი.** ღირს. ონოფრესი, პეტრე ათონელისა და არსენიასი. სომ. წმ. იოანე წინა-მორბედისა, ათანაგინე ეპისკოპ. კათოლ. დღესასწაული ხორცისა და სისხლისა იესო ქრისტესი.

ოსმალეთმა და სპარსეთმა ერთმანერთში პირობა შეჰკრეს, რომლის ძალითაც ქართლი და კახეთი ოსმალეთის მფლობელობის ქვეშ შევიდა 1724 წ. ამავე დღეს შეჰკრეს რუსეთმა და ოსმალეთმა პირობა, რომლის ძალითაც რუსეთს უნდა დარჩენოდა კასპიის ზღვის ნაპირზედ მდებარე ადგილები და ოსმალეთს—საქართველო, და ერევნისა და თავრიზის მხარეები 1724 წ.

ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—6; ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38; მთვარე ამოდის 11—54, ჩადის 11—29;

**13 დღე პარასკევი.** ქალწ.-მოწ. აკინდინასი, ღირს. ანნასი. სომ. ნახატონაქი. კათოლ. ანტონისა და ლუციანასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—19; ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38; მთვარე ამოდის 12—20, ჩადის 12—27.

**14 დღე შაბათი.** წინ.-მეტყ. ელისესი, მეთოდი პატრიარხისა. სომეხ. წმ. გრიგორის, სომეხთა განმანათლებელის ხაროდგან ამოსვლა. კათოლ. ელისესა და ვასილისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—32; ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38; მთვარე ამოდის 12—53, ჩადის 1—26.

**15 დღე კვირა.** წინ.-მეტყ. ამოსისა. სომეხ. დღესასწაული ეჩმიაძინის ეკკლესიისა. კათოლ. ვიტასი და კრესცენციასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—44; ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38; მთვარე ამოდის 1—29, ჩადის 2—27.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივნისიდამ 1-ლ ივლისამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა . 2½ ›
› › 2 › 2 ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 4½ ›
› › 2— 3 ›
› › 3 › 2½ ›

ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 4½ ›
მე-2 ხარისხისა . . 3½ ›
მე-3 — . . . 3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 ›
› 2 › 7 ›
სუკი . . . . 14 ›
ცხვრის ხორცი . . . 7 ›

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შევლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 35 | ბათუმი . . | — | — | 8 | 35 |
| ავჭალა. . . | 8 | 52 | 8 | 55 | ქობულეთი . | 9 | 25 | 9 | 28 |
| მცხეთა. . . | 9 | 13 | 9 | 21 | ნატანები . . | 9 | 54 | 9 | 57 |
| ქსანი . . . | 9 | 39 | 9 | 41 | სუფსა . . | 10 | 21 | 10 | 27 |
| კასპი. . . . | 10 | 6 | 10 | 9 | ლანჩხუთი | 11 | — | 11 | 3 |
| გრაკალი . . | 10 | 29 | 10 | 31 | ნიგოითი . . | 11 | 14 | 11 | 16 |
| გორი . . . | 10 | 54 | 11 | 4 | საჯავახო. . | 11 | 39 | 11 | 41 |
| ქარელი . . | 11 | 33 | 11 | 36 | სამტრედია | 11 | 56 | 12 | 15 |
| გომი . . . | 12 | — | 12 | 4 | კოპიტნარი . | 12 | 35 | 12 | 37 |
| ხაშური . . | 12 | 21 | 12 | 41 | რიონი . . . | 1 | 7 | 1 | 20 |
| სურამი . . | 12 | 53 | 12 | 56 | აჯამეთი . . | 1 | 32 | 1 | 34 |
| ფონი . . . | 1 | 24 | 1 | 27 | ყვირილა . | 2 | 11 | 2 | 26 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 14 | 2 | 34 | ძირულა . . | 3 | 4 | 3 | 6 |
| მარელისი . | 3 | 3 | 3 | 5 | ბელაგორი . | 3 | 33 | 3 | 36 |
| ბელაგორი . | 3 | 32 | 3 | 35 | მარელისი . | 4 | 3 | 4 | 5 |
| ძირულა . . | 4 | 2 | 4 | 5 | ბეჟათუბანი | 4 | 34 | 4 | 54 |
| ყვირილა. . | 4 | 43 | 4 | 58 | ფონი . . . | 5 | 41 | 5 | 44 |
| აჯამეთი . . | 5 | 35 | 5 | 37 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 12 | 6 | 15 |
| რიონი. . . | 5 | 49 | 6 | 4 | ხაშური . . | 6 | 27 | 6 | 42 |
| კოპიტნარი . | 6 | 34 | 6 | 36 | გომი . . | 6 | 59 | 7 | 3 |
| სამტრედია . | 6 | 56 | 7 | 16 | ქარელი . . | 7 | 27 | 7 | 30 |
| საჯავახო. . | 7 | 31 | 7 | 33 | გორი . . . | 7 | 59 | 8 | 9 |
| ნიგოითი . . | 7 | 56 | 7 | 59 | გრაკალი . . | 8 | 32 | 8 | 34 |
| ლანჩხუთი . | 8 | 10 | 8 | 14 | კასპი. . . . | 8 | 54 | 8 | 57 |
| სუფსა . . . | 8 | 47 | 8 | 55 | ქსანი . . | 9 | 22 | 9 | 24 |
| ნატანები . . | 9 | 19 | 9 | 22 | მცხეთა. . . | 9 | 42 | 9 | 48 |
| ქობულეთი . | 9 | 48 | 9 | 51 | ავჭალა. . . | 10 | 6 | 10 | 8 |
| ბათუმი . . | 10 | 41 | — | — | ტფილისი . | 10 | 25 | 10 | 55 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 15 | სურამი. . . | — | — | 2 | 35 |
| ავჭალა . . | 3 | 38 | 3 | 41 | ხაშური . . | 2 | 47 | 3 | 2 |
| მცხეთა . . | 4 | 6 | 4 | 16 | გომი . . . | 3 | 26 | 3 | 31 |
| ქსანი . . . | 4 | 42 | 4 | 45 | ქარელი . . | 4 | 5 | 4 | 12 |
| კასპი . . . | 5 | 20 | 5 | 25 | გორი . . . | 4 | 53 | 5 | 8 |
| გრაკალი . . | 5 | 53 | 5 | 56 | გრაკალი . . | 5 | 40 | 5 | 45 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 28 | 6 | 43 | კასპი . . . | 6 | 13 | 6 | 19 |
| ქარელი . . | 7 | 24 | 7 | 29 | ქსანი . . . | 6 | 54 | 6 | 57 |
| გომი . . . | 8 | 3 | 8 | 7 | მცხეთა . . | 7 | 23 | 7 | 33 |
| ხაშური . . | 8 | 31 | 8 | 46 | ავჭალა . . | 7 | 58 | 8 | 1 |
| სურამი . . | 8 | 58 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | | |


## განცხადებანი

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.“

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, ბანკის ქუჩაზე (Банковскій переулокъ), სახლის № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად. (10—3)

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა

თხზულებანი

ა. მ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგი)

პირველი ტომის მეორე ნაწილი.

ამ წიგნზედ ხელის მომწერთ, რომელთაც კვიტანცია აქვსთ, სურვილისამებრ შეუძლიანთ მიიღონ მეორე ნაწილის მაგიერად პირველი ნაწილი გ. ჩარკვიანის წიგნების მაღაზიაში. (5—4)

დაიბეჭდა და ისყიდება გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში „მეთოდიური სახელმძღვანელო სამშობლო ენის შესასწავლებლად“, შედგენილი ა. ნათაძისაგან. ფასი 20 კაპეიკი. (5—5)

ისყიდება მოსე ჯანაშვილის-მიერ შედგენილი წიგნები:

საქართველოს მოკლე ისტორია

ფასი 60 კაპ.

(ეს წიგნი უმაღლესის მთავრობისაგან მოწონებულია).

საქართველოს საეკლესიო ისტორია

ფასი 45 კაპ.

მერცხალი

ფასი 7 კაპეიკი.

შემდეგს ადგილებში: **ტფილისში:** გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე შემადგენელისას. **ქუთაისში:** ჭილაძის მაღაზიაში. **თელავში:** ვ. როსტომაშვილთან; **სიღნაღში:** ვ. ქიტიაშვილთან; **სურამში:** ა. ქარსიძესთან; **ფოთში:** ხუმარაძესთან. **ყვირილაში** ბლად. ღამბაშიძესთან.

ვინც 20 ცალს «ა» გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Тифлисъ Михайл. ул, Г. Д. Картвелишвили). იმას წიგნი დაეთმ[illegible] შაურად. (10—7)

არ. ჩარკვიანის

ქართულ წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახლად შედგენილი

# ქართული ხმები

ნოტებზედ გადაღებული ან ბენაშვილისაგან.

ფასი 1 მან. და 60 კაპ.


Дозволено цензурою Тифлисъ 9 iюня, 1886 года. სტამბა. გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.